ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს,
საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის,

დავით უთმელიძის
2021 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის
„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის„
88-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ
ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2021

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VI მოწვევის წევრი, 2020 წლის დეკემბრიდან-დღემდე - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი, საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა**

ინფორმაცია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებსა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

2020 წლის ნოემბრიდან-დღემდე მონაწილეობა მივიღე ქ. თბილისის საკრებულოს 21 სხდომაში, რომლის დროსაც მიღებული იქნა 108 დადგენილება და 497 განკარგულება. ამასთანავე, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს ბიუროს 23 სხდომაში. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განიხილეს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ასევე სხვა კომისიების სხდომებზეც.

მონაწილეობა მივიღე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 24 სხდომაში, სადაც განვიხილეთ 273 საკითხი. შევისწავლეთ ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტი ს#39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 507 ცვლილება, აქედან დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 12 ზონალური ცვლილება, უარი ეთქვა 4 ზონალურ ცვლილებას.

განვიხილეთ და დავამტკიცეთ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და

განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 138 პროექტი (აქედან უარი ეთქვა 1 პროექტს).

2020 წლის 22 დეკემბრიდან 2021 წლის 1 სექტემბრამდე ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 19 სხდომა, რომელზეც განიხილეს კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები (საერთო ჯამში223 საკითი):

ბიუჯეტი - განვიხილეთ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის წლიური და 2021 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.

დადგენილების პროექტები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი.“
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - 1 პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე - 6 პროექტი.

ბიუჯეტში მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება; ჯანმრთელობის დაცვა

და სოციალური უზრუნველყოფა; სოციალური დაცვა; განათლება, კულტურა, სპორტი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;

მნიშვნელოვანი პროექტები:

- *მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა;*
- *ქ. თბილისში, მანჯგალაძის ქუჩის რეაბილიტაცია;*
- *ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაცია;*
- *ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობა;*
- *კახეთის გზაგატკეცილის 12 კმ-ზე მდებარე გზაგამტარის რეაბილიტაცია(02.01/30/202)*

  ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისთვის კვლევა-პროექტირების მომსახურება და სამშენებლო სამუშაოები;
- *ქ. თბილისში, შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები (გარდამავალი);*
- *ივეთუბნის კანალიზაციის მოწყობა;*
- *ქ. თბილისში, მზიურის პარკში მდებარე საბაგირო გზის სადგურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები;*
- *ვაკის პარკის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი;*
- *ზღვის უბნის (დენდროლოგიური) პარკის მოწყობა;*
- *ვარკეთილი II მ/რ ურბანული პარკის რეაბილიტაცია-მშენებლობა;*
- *ვარკეთილი 3 - 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობა;*

- *დიდი დიღომი - სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ სპორტული ცენტრის მშენებლობა.*

მრავალწლიანი პროექტები:

- *გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია;*
- *ფურცელაძის ქ. #16 რეაბილიტაცია;*
- *კადეტთა კორპუსი თაბუკაშვილის #46 რეაბილიტაცია;*
- *ანტონ კათალიკოსის #30-32-34 რეაბილიტაცია;*
- *მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია;*
- *აბრეშუმის მუზეუმის რეაბილიტაცია.*

გარდა ამისა, კომისიის მიერ შესწავლილია მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 28 წერილი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასიგნებების ცვლილებების შესახებ“, რომელიც მხოლოდ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის პრეროგატივაა.

ქონება

2020 წლის დეკემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული 216 პროექტი, მათ შორის:

- ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების 145 განკარგულების პროექტი. დაახლოებით 434-მდე ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება (საცხოვრებელი ფართი, საერთო ჯამში დაახლოებით 21,429 კვ.მ.);
- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც შეისწავლა კომისიამ შეეხება: „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ

კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა. მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

მ.შ პროექტები:

- ქ. თბილისში, სოფ.დიღომში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკ/კოდი:#01.72.14.034.711;#01.72.14.034.238;#01.72.14.034.243; ფართობი საერთო ჯამში - 5615კვმ) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/ მათი უფლებამონაცვლეებისათვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფისათვის“ (ს/კ 405198806) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ. *(დაკმაყოფილდა 58 ოჯახი);*
- ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ *(დაკმაყოფილდა 159 ოჯახი);*

- ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.002.046 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 8 118 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი გრუპისათვის“ (ს/კ: 405186365) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ *(დაკმაყოფილდა 77 ოჯახი);*
- ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი 06/095; ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111) 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტისათვის“ (ს/კ: 405385925) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“. *(დაკმაყოფილდა 66 ოჯახი);*

➢ ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემის საკითხები. (სერთო ჯამში 19 პროექტი).

მნიშვნელოვანი თემა რაც კომისიამ განიხილა:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეების მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები.

კორონა ვირუსის - „COVID 19“-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე, გამოიცა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელზეც თანდართული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-7 მუხლის თანახმად, შეიზღუდა ეკონომიკური საქმიანობები, გარდა დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობებისა. კორონა ვირუსთან დაკავშირებით ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიება გულისხმობდა დახურულ სივრცეებში მოქალაქეთა ინტენსიური კონცენტრაციისგან თავის არიდებას, მათ შორის, თბილისში არსებული კაფე-ბარების ფუნქციონირების შეჩერების გზით. საბჭოს რეკომენდაციები და დადგენილებით გათვალისწინებული შეზღუდვები აისახა და გავრცელდა თბილისში არსებულ ღია კაფის ტიპის დაწესებულებებზეც. კერძოდ, მათ საგანგებო მდგომარეობის ვადით აეკრძალათ ფუნქციონირება, რაც დაკავშირებულია შესაბამისი მოიჯარეების ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებასთან. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის მთავრობის მიზანს წარმოადგენდა დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, იმისათვის, რათა კიდევ უფრო არ

გაუარესებულიყო ზემოაღნიშნული პირების ფინანსური მდგომარეობა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეების მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების მიმართ განახორციელა გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონების გამოცხადების თაობაზე .

ინფორმაცია სამჟორიტარო ოლქში მუშაობის შესახებ :

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:

2017 წლიდან გახლავართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი საბურთალოს მე-5 ოლქში.
ოლქში მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური, სატრანსპორტო, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისა და დასაქმების საკითხები.

ჩემი წარმომადგენლობის მისამართია: ალ. ყაზბეგის N14 ა, წარმომადგენლობა მუშაობს ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირის და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სპეციალური დღეებისა) 09:00-18:00-მდე. ბიუროს თანამშრომლები COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების დაცვით, იღებენ განცხადებებს და გასცემენ რეკომენდაციებს, საჭიროებიდან გამომდინარე დადიან სამაჟორიტარო ოლქში და ხვდებიან მოსახლეობას.

ბიუროში, ჩემი მოქალაქეებთან შეხვედრის დღეა ყოველი კვირის ოთხშაბათი დღე, თუმცა პანდემიის პირობებში, მოსახლეობასთან კომუნიკაციას მეტწილად ვახდენთ სოციალური ქსელისა და სატელეფონო საუბრების საშუალებით. გარდა, იმ შემთხვევებისა, თუ კონკრეტული საკითხი დისტანციურად მოგვარების საშუალებას იძლევა.

ჩემს სახელზე ოფიციალურად შემოსული მოქალაქის ყველა განცხადებაზე მოვახდინე შესაბამისი რეაგირება და გავუწიე შუამდგომლობა სხვადასხვა საქალაქო სამსახურში, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში და სხვა შესაბამის უწყებებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობაში ოთხშაბათ დღეს ოფიციალურად, მხოლოდ 10 შეხვედრა გავმართე (პანდემიიდან გამომდინარე მოქალაქეებს ძირითადად დისტანციურად ვუწევდით დახმარებას), სადაც მოსული მოქალაქეები მიზიარებდნენ პირად თუ საყოფაცხოვრებო პრობლემებს.

<u>მოქალაქეთა მომართვიანობა ეხებოდა შემდეგ საკითხებს</u>:

- ✓ კეთილმოწყობა/ინფრასტრუქტურა;
- ✓ უკანონო მშენებლობა;
- ✓ ავარიული კორპუსებისა და საცხოვრებელი სახლის გამაგრება;
- ✓ მედიკამენტების დაფინანსება;
- ✓ კომუნალურების გადანაწილება;
- ✓ ტერიტორიების გამწვანება და რეკრეაცია;
- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა;
- ✓ პირად საკითხებს;
- ✓ და სხვ...

ინფრასტრუქტურული პროექტები:

საბურთალოს მე-5 ოლქში უშუალოდ ჩემი თანამონაწილეობითა და შუამდგომლობის საფუძველზე, საბურთალოს რაიონის გამგეობამ განახორციელა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები:

- დასრულდა საგზაო სამუშაოები აბულაძის ქუჩაზე.

პროექტის შედეგად მოპირკეთდა გრუნტიანი გზის 1 505 კვ. მ. ფართობი, დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო საფეხმავლო ბილიკი. ამასთანავე, მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემაც. აბულაძის ქუჩაზე ჩატარებულ სამუშაოებს გამგებელთან ერთად პირადად გავეცანი.

- სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ყაზბეგის გამზირზე N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე.

სამუშაოების შედეგად, მოეწყო სანიაღვრე ქსელი და 2 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში კი, წყალარინების ქსელი განახლდა.

აღნიშნულ მისამართზე დასრულებული სამუშაოები საბურთალოს რაიონის გამგებელ გაიოზ ვასაძესთან ერთად მოვინახულე.

საირმის ქუჩა N12-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საყრდენი კედელი. ასევე, კედელზე ლითონის დამცავი ღობეც უახლოეს მომავალში დამონტაჟდება. პროექტის შედეგად, 33 გრძივ მეტრზე გრუნტის დამჭერი კედელი აშენდა.

მიმდინარე სამუშაოებს პირადად გავეცანი გამგებელთან და ჩემი წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად.

აღნიშნულ მისამართზე სკვერის ზედა მხარეს განთავსებული იყო რამდენიმე ავტოფარეხი, რომელიც მოსახლეობისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. თავდაპირველად, განხორციელდა ავტოფარეხების დემონტაჟი. შემდგომ კი, ძველი, დაბეტონებული, არასწორი კონსტრუქციის ნაცვლად, შესაბამისი კონსტრუქციის ახალი გრუნტის დამჭერი კედელი მოეწყო.

საყრდენი კედლები და ლითონის დამცავი ღობეები მოეწყო ასევე, მგალობლიშვილის ქუჩა N11-ის და ბერიტაშვილის ქუჩა N9-ის მიმდებარედ.

ვეძისი - ოსეთის ქუჩაზე მიმდინარეობს საყრდენი კედლის მოწყობა

- საბურთალოს რაიონში, დგებუაძის ქუჩაზე დასრულდა საგზაო სამუშაოები. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში მოეწყო ორფენიანი ასფალტის საფარი, მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემაც.

მიმდინარე სამუშაოებს საბურთალოს რაიონის გამგებელ, გაიოზ ვასაძესთან ერთად გავეცანი.

საბურთალოს რაიონში, 15 მისამართზე, ლითონის დამცავი მოაჯირი მოეწყო. ასევე, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით, 40 მისამართზე მოძრაობის შემზღუდავი ბარიერი განთავსდა.

საბურთალოს რაიონში, 2018 წლიდან-დღემდე, 109 სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია განხორციელდა.

- ალასანიას ქუჩა N36-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო სკვერი.

პროექტის შედეგად, 1 500 კვადრატულ მეტრ ფართობზე მოეწყო LED განათების ქსელი, საჩრდილობელი, საფეხმავლო ბილიკები და საპარკე სკამები. ასევე, ბავშვებისთვის სხვადასხვა სახის ატრაქციონი დამონტაჟდა. ტერიტორიაზე გამწვანების სამუშაოებიც განხორციელდა.

- ყაზბეგის გამზირზე, N31-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დასასვენებელი სივრცის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო ბავშვებისათვის სხვადასხვა სახის ატრაქციონები, განათების სისტემა და ყველა შესაბამისი ინფრასტრუქტურა განთავსდა.

განახლებული სივრცე პირადად დავათვალიერე გამგებელთან ერთად, გავესაუბრე ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და ჩატარებული სამუშაოების შესახებ მათი შეფასებებიც მოვისმინე.

საანგარიშო პერიოდში ჩემი შუამდგომლობით განხორციელებული სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები:

- 3 მისამართზე შეკეთდა ბრტყელი სახურავი;
- 4 მისამართზე შეკეთდა ქანობიანი სახურავი;
- 25 მისამართზე გარემონტდა ლიფტი;
- 5 მისამართზე შეიცვალა წყალ-კანალიზაციის სისტემა;
- 3 სადარბაზოში შეიცვალა შესასვლელი კარი;
- სადარბაზოები გარემონტდა 12 მისამართზე.

ჩემს ოლქში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს, ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებ მოსახლეობასთან კომუნიკაციასა და მათთვის საჭირო ინფორმაციების გაცნობას.

ღონისძიებები და აქტივობები

საანგარიშო პერიოდში, პანდემიიდან გამომდინარე, ჩემს ოლქში, საკვები პროდუქტები და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ პირველადი მოხმარების ნივთები 100-მდე შეჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახს პირადად გადავეცი.

ასევე, აქტიურად ვიყავი ჩართული თბილისის საკრებულოს კამპანიაში, რომლის ფარგლებშიც, ეტაპობრივად ვეხმარებოდით სოციალურად დაუცველ, იმ მრავალშვილიანი ოჯახებს, რომელთაც ოთხი და მეტი შვილი ჰყავთ.

- საანგარიშო პერიოდში დავესწარი სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებას. ერთ-ერთი ღონისძიება იყო „ზაქარიაძის ქუჩის დღესასწაული“, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებით და ზაქარიაძის ქუჩა N3-ის ამხანაგობის თავმჯდომარის, ლევან მშვილდაძის ინიციატივით გაიმართა.

ღონისძიებაზე სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. შემოსული თანხა სრულად ქუჩის გამწვანებას მოხმარდება. დასასრულს, გაიმართა კონცერტი.

- დავესწარი ასევე, დედაქალაქის საკრებულოში გამართულ კონკურსს, „სუფთა რეგიონის“ გამარჯვებულების დაჯილდოების ღონისძიებას. სადაც, ნომინაციაში „სუფთა, ლამაზი ქუჩა“ ჩემი ოლქის ერთ-ერთი გამორჩეული უბნის, ზაქარიაძის ქუჩა N3-ის მაცხოვრებლებმა გამარჯვება მეორედ მოიპოვეს. ამხანაგობის თავმჯდომარეს გამარჯვება პირადად მივულოცე.

- საანგარიშო პერიოდში დავესწარი, ქალაქ თბილისის მერის, კახა კალაძის მიერ საზოგადოებისთვის წარდგენილ 2018-2021 წლებში დედაქალაქში განხორციელებული პროექტების პრეზენტაციას.

- მონაწილეობა მივიღე აგრეთვე “მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგის” პრეზენტაციასა და ფინალური ეტაპის კენჭისყრის ცერემონიაში. ღონისძიება მზიურის პარკში საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით გაიმართა.

- თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ტყემალაძესა და თავმჯდომარის მოადგილე, მარიკა დარჩიასთან ერთად, ვიმყოფებოდი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის ხსოვნას მივაგეთ პატივი და მისი საფლავი გვირგვინით შევამკეთ.

ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე ინტენსიურ კომუნიკაციას ჩემი ოლქის მაცხოვრებლებთან, ვეცნობი მათ პრობლემებს და მაქსიმალურად ვცდილობ მოკლე ხანში გადაიჭრას ჩემს სამაჟორიტარო ოლქში არსებული სხვადასხვა პრობლემატური საკითხები.